ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

19 ივნისი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 113 (10 526) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამოხმაურება

„ლელოს" რედაქციას!

ნება მოგვეცით მოგმართოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 14 ივნისს გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით („სპორტსმენის ბედი ყველას საზრუნავია", ავტორი მურთაზ მნათობიშვილი). ამ წერილში რეალურადაა შეფასებული სპორტსმენთა სწავლის პრობლემა, მათი დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე და, ამდენად, მადლობის მეტი რა ეთქმის რედაქციას ასეთი მართალი და საჭირბოროტო წერილის გამოქვეყნებისათვის.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ წერილის პათოსს. რესპუბლიკაში დღეს ბევრი რამ იცვლება, თავიდან ვიშორებთ სტერეოტიპებს და ყველაფერს, რამაც დრო მოჭამა. მაგრამ ნუ ჩავთვლით, რომ სპორტი და სპორტსმენი აღარ სჭირდება საქართველოს. პირიქით, რაც მეტი მაღალი კლასის ათლეტი გვეყოლება, მით უკეთესი, მით უფრო მალე გაგვიცნობს მსოფლიო. სპორტი და სპორტსმენი ხომ მშობლიურ ქვეყანას, მის კულტურას და ეროვნულ ხასიათს აცნობს უცხო სამყაროს.

რა დასამალია, მიუხედავად დიდი მცდელობისა, სპორტსმენებს ჩვენთან აკლიათ ის ყურადღება და მატერიალური კეთილდღეობა, რაც მათ უცხოელ კოლეგებს აქვთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ჯერ ამისგან შორს ვართ და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს ლოდინი. ვიდრე მათ დონემდე [illegible] ტომ იმას, რომ მოცემულ დღეს [illegible] ვაკლებთ. მიეცით მათ საშუალება ხელშეწყობით, ისე, რომ ეს ყველამ იცოდეს (დასამალი არაფერია), შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ არჩევანი თავად გააკეთონ: თუ ძნელი შეეშლებათ სწავლაში, აიღონ აკადემიური შვებულება მანამ, ვიდრე სარბიელზე გამოდიან.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩვენი წერილი.

ი. ბერიძე, ვ. ხურაძე, ი. კვირიკაშვილი, მ. ხოფერია, ზ. ედილაშვილი, ე. მენაბდე, ზ. ხუნდაძე და სხვ. სულ 18 ხელმოწერა.

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

მკითხველთა წერილებში— საზოგადოებრივი აზრი

სრული დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, ახლა „ლელოს" მკითხველთა წერილების ძირითადი თემაა. მათ, ცხადია, ახარებთ ყველა ახალი ნაბიჯი, რომელსაც, საერთო ძალისხმევით დგამენ ამ გზაზე ჩვენი ცალკეული სპორტსმენები და გუნდები, მიაჩნიათ, რომ სპორტული კავშირების დაჩქარებამ და გაღრმავებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს საერთაშორისო აღიარებას და ეს მხოლოდ სპორტზე არ ითქმის.

რედაქციაში შემოსული ყველა წერილი, ამაღლებული პატრიოტული გრძნობებით არის განმსჭვალული. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ბორჯომის რაიონის საკრებულოს დეპუტატის, სპორტისა და ტურიზმის მუდმივმოქმედი კომისიის წევრის გ. კიკნაძის ბარათმა, რომელიც ასე მთავრდება: „საქართველო სწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ, ჰყავს პრეზიდენტი, ახლო მომავალში მსოფლიო სპორტული მოძრაობის სრულუფლებიან წევრად გავალთ საერთაშორისო სარბიელზე და ყველგან აფრიალდება საქართველოს შინდისფერი დროშა, რამდენი სიხარული გველის წინ..."

თბილისელი გია ყანჩელი გვთხოვს გამოვაქვეყნოთ იმ სპორტული ფედერაციების სია, რომლებიც უკვე გაწევრიანდნენ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში. გიას და ყველას, ვინც ასეთივე ან მსგავსი შეკითხვებით მოგვმართა, მოკლედ ვუპასუხებთ, რომ ჯერჯერობით საერთაშორისო ფედერაციებში მეტწილად სპორტის იმ სახეობათა წარმომადგენლები ერთიანდებიან, რომლებიც არ არიან აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ამიტომ ნურავის დარჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ერთნი ახერხებენ გაწევრიანებას, მეორენი კი — ვერა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და მის მიერ აღიარებულ ფედერაციებს თავიანთი წესები აქვთ, რაც ნებსით თუ უნებლიეთ პოლიტიკასთან არის გადაჯაჭვული. ამდენად ჯერჯერობით წინააღმდეგობებს ვაწყდებით.

თბილისის იპოდრომის დანაწევრება-გასხვისება დიდხანს იწვევდა ამ ეროვნული კერის მნიშვნელობის დამფასებელთა და ცხენოსნობის მოყვარულთა გულისწყრომას. უაღრესად საქმიანი წერილით მოგვმართეს პროფესორებმა გივი გოშაძემ და ვლადიმერ ჰანუყვაძემ. ამასთან დაკავშირებული საკითხების უმეტესობა მოგვარდა ან გვარდება.

რედაქციაში ბევრი წერილი შემოდის სპორტსმენებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას დაწესებულ შეღავათებთან დაკავშირებით. „ასეთი შეღავათი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ შევინარჩუნოთ მოლოდ ღირსეულებისათვის, სამუდამოდ უნდა გადავკეტოთ ის გზა, რომლითაც ასეთ სიებში უღირსები ხვდებიან" — გვწერს თბილისელი მშობელი ბ. კალანდაძე. ასეთივე შინაარსისაა ს. მენაბდის (რუსთავი), მ. გახოკიძის (ქუთაისი), ბ. მონიავასა (ხობი) წერილები.

მკითხველთა უმრავლესობა (ოცამდე ბარათი, აქედან 7 წერილი ჯგუფურია) მოითხოვს სპორტსაზოგადოება „დინამოს" გადაერქვას სახელი, მითუმეტეს, ცენტრთან და ცენტრალურ სპორტულ უწყებებთან გაწყვეტილი გვაქვს ყოველგვარი სპორტული ურთიერთობა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამენ ქართული ფეხბურთის ბედით დაინტერესებულნი იმ ექსცესებთან დაკავშირებით, ჩვენს სტადიონებზე რომ ხდება. გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვენ „ლელოს" მკითხველები და ფეხბურთის გულშემატკივრები კ. სორდია, ნ. სართანია, ვ. მეხაშიშვილი, ე. სებისკვერაძე, ს. ხაზვა, ვ. ცინცაძე, ხ. უკლება და სხვები. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ, მაგრამ ერთი საწუხრო აწუხებთ — ნუ ვიზამთ იმას, რომ ფეხბურთმა ერთმანეთს დაუპირისპიროს დედასამშობლოს ცალკეული რეგიონები. დროულად მივხედოთ ამ საკითხს, რადგან მდგომარეობა უკვე საგანგაშო გახდა.

მკითხველთა წერილები საზოგადოების ხმაა. არ შეიძლება ამ ხმას ყური არ მივუგდოთ.

„ლელოს" წერილების განყოფილება.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი

კახი შალვას ძე ასათიანი

დაიბადა 1947 წელს ქ. თელავში, ქართველია, 1973 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

კახი ასათიანი ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელია. იგი თერთმეტი წლის მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას, შედიოდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

1976-1977 წლებში იგი იყო მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის მსმენელი. 1978-1984 წლებში იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი, 1985-1991 წლებში — სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

1991 წლის მარტში კახი ასათიანი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შემოგდივართ წინადადებით

არ მოგწონდათ გამოთქმა „ფიზკულტურული კოლექტივი"?

ცხოვრების განახლება დღეს ყველა სფეროში მიმდინარეობს, ცხადია, უყურადღებოდ არც ფიზკულტურა და სპორტი რჩება.

მართალია, რადიკალური გარდაქმნა იქ, სადაც ადამიანები სწავლობენ და მუშაობენ, ჯერ არ მომხდარა, მაგრამ, ვფიქრობთ, ერთი საკითხის მოგვარება, კერძოდ, თუ რა დავარქვათ „ფიზკულტურულ კოლექტივს", როგორც ადგილებზე მუშაობის გაშლის მთავარ ბირთვს — ამთავითვე შეიძლება.

ერთად ვიმსჯელოთ, შემოგვთავაზეთ, რით შევცვალოთ ტერმინი „ფიზკულტურული კოლექტივი". სახელი საქმის არსიდან უნდა მოდიოდეს — ზოგი იტყვის. მით უკეთესი, საქმის არსს თუ მიუსადაგებთ, ამას რა სჯობია.

ველით თქვენს წერილებს!

რა ისმის უცხოეთიდან?

„ჩიკაგოს" ალმასვლის სტენოგრამა

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) 1990-1991 წლების ჩემპიონი გახდა „ჩიკაგო ბულსი", ან, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, მაიკლ ჯორდანის გუნდი. ჩიკაგოელმა „ხარებმა" (ბულს ინგლისურად ხარებს ნიშნავს) „პლეი-ოფის" შვიდრაუნდიან ფინალურ სერიაში დაამარცხეს მეორე, არანაკლებ ცნობილი და პოპულარული კლუბი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", ანუ „მეჯიკ" ჯონსონის გუნდი, ანგარიშით 4:1 (სერია, როგორც ხედავთ, შეწყდა ხუთი მატჩის შემდეგ). ჩვენ მთელი სეზონის მანძილზე სისტემატურად ვაშუქებდით ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონატის მიმდინარეობას, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, ერთხელ კიდევ გვინდა გავიხსენოთ ფინალისტების მიერ განვლილი გზა.

მაშ ასე, ნბა-ს ტრადიციების თანახმად, მეტოქეებს ჯერ 82-82 შეხვედრის ჩატარება მოუხდათ თავიანთ დივიზიონებში. პირველი ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილები ასე გამოიყურებოდა:

ცენტრალური დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ჩიკაგო"	61	21	744
„დეტროიტი"	50	32	610
„მილუოკი"	48	34	585
„ატლანტა"	43	39	524
„ინდიანა"	41	41	500
„კლივლენდი"	33	49	402
„შარლოტა"	26	56	317

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი"	63	19	768
„ლეიკერსი"	58	24	707
„ფენიქსი"	55	27	671
„გოლდენ სტეიტი"	44	38	537
„სიეტლი"	41	41	500
„კლიპერსი"	31	51	378
„საკრამენტო"	25	57	305

პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, ოთხივე დივიზიონის მაჩვენებელთა საფუძველზე, გამოვლინდა ნბა-ს თექვსმეტი უძლიერესი კლუბი, რომლებმაც გააგრძელეს ბრძოლა მთავარი ტიტულისათვის. „პლეი-ოფის" მერვედფინალური და მეოთხედფინალური სერიები ხუთ-ხუთ მატჩს მოიცავდა (სამ გამარჯვებამდე).

მერვედფინალები

„ჩიკაგო ბულსი" — „ნიუ-იორკ ნიქსი" 3:0 (126:85, 88:79, 103:94).

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „ჰიუსტონ როკეტსი" 3:0 (94:92, 109:98, 94:90).

მეოთხედფინალები

„ჩიკაგო ბულსი" — „ფილადელფია-76" 3:1 (105:92, 112:100 97:99, 101:85).

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „გოლდენ სტეიტი" 3:1 (126:116, 124:125, 115:112, 123:107).

ნბა-ს ტრადიციისამებრ, ნახევარფინალური და ფინალური სერიები შვიდმატჩიანი იყო (ოთხ გამარჯვებამდე).

იხ. მე-4 გვ.

ეს პატარები ქართული ჩოგბურთის ხვალინდელი დღის წარმომადგენლები არიან. თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები გაიოზ საბაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ჩოგბურთის ანბანს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„გრან პრი"—პატრეზეს

მეხიკო. 17 ივნისს, მექსიკის „გრან პრის" გათამაშება „ფორმულა1" კლასის ავტომობილებისთვის დასრულდა „უილიამს-რენოს" გუნდის გამარჯვებით. პირველი ადგილი და ამ ქვეყნის დიდი პრიზი მოიპოვა იტალიელმა მრბოლმა რიკარდო პატრეზემ, რომელმაც 1,336 წამით გაუსწრო თანაგუნდელს, მეორე ადგილზე გასულ ინგლისელს — ნაიჯელ მენსელს.

ჩემპიონატის ლიდერი, ბრაზილიელი აირტონ სენა ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა და თავის აქტივს კიდევ ოთხი ქულა შემატა.

მე-6 ეტაპზე გამარჯვებით პატრეზემ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ოთხი ქულით გაუსწრო 16 ქულით მესამე ადგილზე მყოფ ბრაზილიელ ნელსონ პიკეს.

ადამიანი მატიანის ფურცლებზე

იყო ასეთი ცენტრფორვარდი...

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დაელოდო იუბილეს, ეგრეთწოდებულ „მრგვალ თარიღს", რათა ორიოდე თბილი სიტყვა დაწერო ადამიანზე, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამას?

ლუარსაბ (ლური) ლოლაძე 78 წელსაა მიტანებული. ერთი საიუბილეო თარიღი უკვე „გამოვტოვეთ" და ახლა, მხოლოდ ორი წლის შემდეგ, დეკემბრის დასაწყისში მივულოცავთ რვა ათეულ წელს.

ბორის პაიჭაძეს ყველა იცნობს. აი, ლური ლოლაძეს... რატომ დაგვჭირდა მათი შედარება? იმიტომ, რომ იყო დრო, როდესაც ეს ორი ცენტრალური თავდამსხმელი ამშვენებდა თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდს. სპეციალისტები დიდ მომავალს უქადდნენ ამ ნიჭიერ, მშვენიერი აღნაგობის სპორტსმენს, რომელიც იმხანად მხოლოდ 20 წლისა იყო.

მთაწმინდაზე, გრიბოედოვის ქუჩაზე გაიზარდა. ფეხბურთის მინდორი ახლომახლო არსად იყო, მაგრამ ტყავის ბურთმა და მომავალმა ფეხბურთელმა მაინც „იპოვეს" ერთმანეთი — მკვირცხლი ბიჭუნა ზაფხულობით ავჭალაში ჩადიოდა დასთან, აგარაკზე და საათობით თამაშობდა ფეხბურთს ტოლამხანაგებთან. წყალსადენის ახალგაზრდული ბანაკის ხელმძღვანელმა ყაზარაშვილმა შეკრიბა 10-11 წლის ბიჭები და ფეხბურთის „ნამდვილი" გუნდი ჩამოაყალიბა. კაპიტნად სწრაფი, ენერგიული ლური ლოლაძე აირჩიეს, ასე რომ, უყვარდა გოლების გატანა, შენგან კარგი ფეხბურთელი დადგებაო — უთხრა ხელმძღვანელმა და არც შემცდარა. ორიოდე წლის შემდეგ ავჭალის „წყალსადენის" გუნდი თბილისის მოზარდთა პირველობაზე დაუშვეს. წყალსადენელები, თავდაპირველად, მუდამ მეორე ადგილზე გადიოდნენ, პირველს კი 16 გუნდს შორის აშკარა უპირატესობით იკავებდნენ ე. წ. „რპუკ"-ის ფეხბურთელები, რომელთა კაპიტანი და მწვრთნელი იყო 16 წლის ნესტორ ჩხატარაშვილი — შემდგომში ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, შესანიშნავი მსაჯი. მხოლოდ მეოთხე გათამაშებაში შეძლო „წყალსადენმა" მრისხანე მეტოქის უკან მოტოვება და თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულთა კაპიტანმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლური ლოლაძემ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ტურნირში, თუმცა, იმხანად ბომბარდირთა გოლებს აბა ვინ ითვლიდა და საგანგებო ჯილდოებსაც, მოგეხსენებათ, არ აწესებდნენ.

— რა ვიცოდი, რომ ჩვენს თამაშებს თურმე ანდრო ჟორდანია, — იმხანად საქართველოს პირველი ფეხბურთელი ესწრებოდა, თორემ იქნებ კიდევ უფრო მეტი ბურთი გამეტანა, — ღიმილით იგონებს სახელოვანი ვეტერანი. — ერთ მშვენიერ დღეს (მახსოვს შაბათი იყო) თამაშის შემდეგ გასახდელში ვიღაც ბიჭი შემოვიდა, ლოლაძეს ბატონი ანდრო იბარებსო. ცხადია, ვეახლე ჟორდანიას: „კარგა ხანია გაკვირდები... თამაში შეგიძლია. ხვალ სტადიონზე მოხვალ — ჩვენს გუნდში ჩაგრიცხავ!"

საჭიროა განა აქ ახალგაზრდა ფეხბურთელის განცდებისა და სიხარულის გადმოცემის ცდა? თავად განსაჯეთ — ლოლაძე მაშინ 17 წლისა იყო! ნამდვილ ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, ცხადია, და აი... ჟორდანიამ მას თავიანთი გუნდის „პრომკოოპერაციის" ფორმა — თეთრსაყელოიანი ცისფერი მაისური, ლურჯი ტრუსები და რაც მთავარია, „მასტერსკი" ბუცები გადასცა. ახალბედა ფეხბურთელი თავიდანვე ცენტრალურ თავდამსხმელად დააყენა. გვერდით ნიჭიერი გოგი ვაჩნაძე მიუჩინა, „ფსიმკას" სახელით რომ იყო ცნობილი საფეხბურთო წრეებში. კარის დაცვა გამოცდილ ნიკოლაი სოლონინს ანდო. პირველად ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის („პვრზ") ძლიერ გუნდთან ითამაშეს. ლოლაძის დებიუტი წარმატებული გამოდგა. მან ერთი ბურთი გაიტანა („ორი მცველი მოვატყუე და დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გავგზავნე ბურთი კარში") და გ. ვაჩნაძესთან ერთად ორი გოლის „თანაავტორიც" გახლდათ. მეტოქეთაგან ერთი ბურთი მიხაილ ბოლოტინმა გაქვითა, შემდგომში თბილისის „დინამოს" ღირსებას რომ იცავდა. 1933 წელს, როდესაც ანდრო ჟორდანია უკვე ივანოვოში მუშაობდა მწვრთნელად, მათი გუნდი ფოთს ეწვია ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ადგილობრივ სპეციალისტებს ისე მოეწონათ ლური ლოლაძისა და შოთა შავგულიძის თამაში, რომ ორივეს შესთავაზეს თავიანთ გუნდში გადასვლა. უნდა ითქვას, რომ ფოთის გუნდში იმხანად თამაშობდნენ უნიჭიერესი ფეხბურთელები — ბორია პაიჭაძე, გვაჩი ჯორბენაძე, გრიშა გაგუა, კაკო ყალიჩავა, საშა ელიავა, ვანიჩკა კინწურეიშვილი, ვალოდია ბერძენიშვილი, ტიტე ჯორჯიკია და სხვები. მათი კაპიტანი პოპულარული მიტრო ხსათიანი იყო. ლოლაძე, ცხადია, სიამოვნებით ითამაშებდა მათ გვერდით, მაგრამ მარტოხელა დედას აბა როგორ მიატოვებდა შინ, შავგულიძემაც რაღაც მოიმიზეზა. რამდენიმე დღის შემდეგ ლურის გვაჩიმ ჩამოაკითხა თბილისში („რესტორან „თბილისში" შემიტყუა, კარგად რომ შევზარხოშდით, მითხრა, მატარებელზე გამაცილეო. ვაგონში ასულს, ჩამძინებია. რომ გავიღვიძე, ვიკითხე, სადა ვარ-მეთქი? ფოთში! ცრემლი მომადგა თვალთ"). იმავე წელს ფოთელმა ფეხბურთელებმა ამხანაგური ტურნე მოაწყვეს ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში, ნიკოლაევში, ოდესაში.

— „ოდესაში რომ ჩავედით, მთელ ქალაქში აფიშები დაგვხვდა: 19 ივლისი, ფეხბურთი, უკრაინა — თურქეთი. თურქმა ფეხბურთელებმა მოსკოვში გამართეს ამხანაგური მატჩი და ახლა ოდესიდან გემით უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. მაგრამ ოდესაში ჩამოსვლისას გაირკვა, რომ მათი გემი რაღაც ორიოდე საათში უნდა გასულიყო. ცხადია, თამაშზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. ამიტომ მატჩის ორგანიზატორები ჩვენ მოგვდგნენ: არიქა, გვიშველეთ, ბილეთები გაყიდულია, თქვენ ხომ მაინც უნდა ითამაშოთ, მოდით... თურქეთის ნაკრების სახელით გამოდით, მაინც ვერავინ გაარჩევს თქვენს შავ ულვაშებს! ცოტა შევფიქრიანდით, ეს ხომ აშკარა მოტყუება იქნებოდა, ამასთან, დიდი ანგარიშით წაგებასაც გვეშინოდა. მაგრამ დაჟინებულმა ხვეწნა-მუდარამ თავისი გაიტანა — დავთანხმდით. 1:3 წავაგეთ. ბედნიერი ვარ, რომ ბურთი გავიტანე სახელგანთქმული გოლკიპერის ნიკოლაი ტრუსევიჩის კარში. ბურთი მარჯვნიდან ბორია პაიჭაძემ გადმომაწოდა. ანგარიში გახდა 1:1. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. მეორე ტაიმში... ტყუილი გაირკვა. ტრიბუნაზე მსხდომთ შორის ქართველი მეზღვაურებიც იყვნენ. სწორედ მათ გვიცნეს: „ბიჭოს, ეს ხომ ჩვენი ბიჭები არიან, ფოთელები"?!

სეზონის ბოლოს ფოთში ჩამოვიდა შოთა შავგულიძე. ბიჭებს ეგონათ, ისიც ჩვენთან გადმოდიოდა სათამაშოდ, მაგრამ... „ახლავე აიკიდე ბარგი-ბარხანა და თბილისში წამოდი, „დინამოში" უნდა ითამაშო!".

ლოლაძეს მოერიდა თანაგუნდელების, უხერხულია, ბიჭებს შევეჩვიე, ვერ წამოვალო. შავგულიძემ მიუგო, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ლოლაძე „დინამოში" იყო ჩარიცხული და სულ მალე მატჩი ელოდა. მოელაპარაკა, რომ თვითონ ნავსადგურიდან ჩაჯდებოდა თბილისის მატარებელში, მეხუთე ვაგონში, ლური კი ქალაქის სადგურში ამოვიდოდა ვაგონში. ბიჭებმა დიდი პატივით გააცილეს შოთა (ბოლომდე ეგონათ, რომ იგი მოსალაპარაკებლად იყო ჩამოსული ფოთში). ასე, კვლავ „მოტყუებით" მოხვდა ლური ლოლაძე ახალ გუნდში — ამჯერად თბილისის „დინამოში". იმ კოლექტივში, რომელსაც დიდებული მცველი ლევან აბაშიძე მეთაურობდა, იგი 1934 წლის სეზონის დამდეგს ჩარიცხეს. აი, მაშინდელი „დინამოს" შემადგენლობა: დოროხოვი, შავგულიძე, მინაევი, ანიკინი, აბაშიძე, მ. ბერძენიშვილი, პანინი, პოჩივალოვი, ლოლაძე, გარაყანიძე, სომოვი. ერთი წელიწადი ითამაშა აქ ლოლაძემ და მომდევნო სეზონში თბილისის „ლოკომოტივში" გადავიდა, რომელსაც იმხანად კონსტანტინ კრავჩენკო ავარჯიშებდა. მასთან ერთად გუნდში თამაშობდნენ ძმები ჩხატარაშვილები, ვორონოვი, ლევიაშვილი, ჰუმბურიძე, ჩერედნიჩენკო, ჯეჯელავა, სხარულიძე, აფრიდონიძე, ლობჟანიძე, შ. რამიშვილი. მომდევნო წელს რკინიგზელთა გუნდს ნიკოლაი ლარიონოვი ჩაუდგა სათავეში.

...1937 წელს, როგორც ცნობილია, თბილისში ჩამოვიდნენ სახელგანთქმული ბასკი ფეხბურთელები. მათ ჯერ მოსკოვში ითამაშეს ადგილობრივი „ლოკომოტივის" წინააღმდეგ. იმავე დღეებში თბილისში თურმე დეპეშა მოსულა (რომლის შესახებ ლურიმ... ამ ხუთიოდე წლის წინ გაიგო!): „მოავლინეთ ფეხბურთელი ლოლაძე მოსკოვში ბასკებთან მატჩში მონაწილეობისათვის". მაგრამ დეპეშა ფიზკულტურის კომიტეტში დამალეს: ეს რომ მოსკოვში გავუშვათ, იქ დატოვებენ, „ლოკომოტივშიო". ვფიქრობთ, ჩვენი ფეხბურთის იმჟამინდელ მესვეურთა ეს ვარაუდი, არც ისე საფუძველმოკლებული იყო. ლოლაძე მოსკოვში არ ჩასულა, ლოკომოტიველებმა ცენტრალურ თავდამსხმელად ერევნელი გაიკ ანდრეასიანი (არკადი ანდრეასიანის ბიძა) გამოიყვანეს...

— ორი კვირის შემდეგ ბასკები თბილისს ეწვივნენ. ლოკომოტიველთა ერთ-ერთ ვარჯიშზე მოვიდნენ დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ალექსეი სოკოლოვი (მას „დოქტორ სოკოლოვს", ეძახდნენ) და გუნდის კაპიტანი შოთა შავგულიძე: „შენ და ჯეჯელავა „დინამოში" უნდა წამოხვიდეთ! არის მითითება"... მერე ორივეს „დინამოს" საბჭოში დაგვიძახეს — ახლავე წადით და ივარჯიშეთ ჩვენს გუნდში, ბიჭები გელოდებიანო. უმალვე კიკეთში გაგვამგზავრეს დინამოელთა შეკრებაზე. თამაშის დღემდე იქ ვიყავით, სიგრილეში.

თუ როგორ ითამაშა დინამოელთა მარცხენა ინსაიდმა (ცენტრში პაიჭაძე გამოდიოდა), ნათლად ჩანს იმ დღეების პრესიდან: „ლოლაძის ორი ყუმბარისებური დარტყმა ძელს მოხვდა", „ლოლაძის სახიფათო ბურთი მეკარე გრეგორიო ბლასკომ მოიგერია" და ა. შ. მეორე მატჩში — საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში — ლოლაძე მოედანზე მე-16 წუთზე გავიდა ტრავმირებულ მ. ბერძენიშვილის ნაცვლად. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ამ დღესაც საუკეთესოდ ითამაშა. აღსანიშნავია, რომ მას მეურვეობდა თვით ლეონარდო სილაური — ტანმაღალი, ძლიერი, ტექნიკური ნახევარმცველი.

ლური ლოლაძე

— ერთ ეპიზოდში „საჰაერო ბრძოლაში" შევეჯახეთ ერთმანეთს და, ალბათ, ხუთი მეტრი მაინც ვიფრინე ჰაერში — სიცილით იხსენებს ლ. ლოლაძე. — საერთოდ, ბასკებისგან ბევრი რამ ვისწავლეთ, როგორც ტექნიკის, ისე ტაქტიკის თვალსაზრისით.

უდავოდ დიდი გავლენა იქონია თბილისის დინამოელებზე, მათ შორის ლური ლოლაძეზე, ჩვენს გუნდში იმავე წელს მოწვეულმა სახელგანთქმულმა ფრანგმა სპეციალისტმა ჟიულ ლიმბეკმა (საქართველოში იგი ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოვიდა). ლიმბეკმა ჩვენი გუნდის თამაში რომ ნახა, განაცხადა: „საქართველოში ისეთი ფეხბურთელები არიან, რომ მე აქ სიამოვნებით დავრჩები სამუშაოდ. იმდენ ხანს ვიქნები, სანამ ისეთ გუნდს არ შევქმნი, რომელიც ჩემპიონი გახდება"!

გავაგრძელოთ ბასკთა თემა. ლ. ლოლაძის მოგონებით, ისინი მშვენიერი, გულღია ახალგაზრდები იყვნენ: „ფილარმონიაში ვიყავით ერთად კონცერტზე. ძალიან მოეწონათ ჩვენი ცეკვები, განსაკუთრებით „ცერული" და „ფარიკაობა", ხოლო ბანკეტზე სიმღერა „ციცინათელას" შესრულებისას მშვენივრად აგვყვნენ მასპინძლებს, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები არ იცოდნენ. გვთხოვეს ამ სიმღერის ფირფიტები. მეორე დღეს სტუმრებს თექვსმეტი ფირფიტა ვაჩუქეთ, მატჩის წინ კი თითოეულ მოთამაშეს მამაპაპური ვერცხლის ქამრებიც ვუსახსოვრეთ, ხოლო გუნდს ხილით სავსე ხონჩა მივართვით. მახსოვს, მათ საპასუხოდ, ვიმპელი და ლამაზი სამკერდე ნიშნები გადმოგვცეს. ჩვენს თარჯიმანზე ეცინებოდათ — ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ისედაც ვხვდებით ქართულსო! როდესაც სუფრაზე „ქინძმარაული" გასინჯეს, თვალები გაუბრწყინდათ — აქამდე მსოფლიოში საუკეთესო ღვინო ფრანგული „ბორდო" გვეგონა. თურმე თქვენი ღვინო ყოფილა ყველაზე კარგიო!".

ბევრი ფეხბურთელი როდი დაიკვეხნის ბასკების ლეგენდარული გუნდის წინააღმდეგ თამაშს, თანაც ორ მატჩში. ქართველ ფეხბურთელთაგან, მაგალითად, სულ 16-მა ითამაშა, მათ შორის ლური ლოლაძემაც.

1939 წელს ლენინგრადში ზენიტელთა მცველმა კისელიოვმა სერიოზულად დააშავა. ლური ლოლაძეს მწვრთნელები ახლა თითო თამაშით ასვენებდნენ, თუმცა ექიმები მის ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვდნენ. „დინამო" მაინც ვერ ელეოდა მას. სხვათა შორის, ლოლაძე რამდენჯერმე მიიპატიჟეს მოსკოვის „სპარტაკში" (ერთხელ თბილისში საგანგებოდ ანდრეი სტაროსტინიც კი აფრინეს), მაგრამ მან ყველაფერს მშობლიური „დინამო" ერჩია.

1940 წელს ლ. ლოლაძე გადაიყვანეს თბილისის „ლოკომოტივში" საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტით — „დინამოში" ორი ცენტრი ჰყავთ, ჩვენ კი გვეჭირსო, მაგრამ მომდევნო წელს, ომის დაწყების წინ, იგი ისევ „დინამოში" დააბრუნეს — ეს იყო მისი მეხუთე და, სამწუხაროდ, უკანასკნელი სეზონი თბილისის „დინამოში". ომმა შეუშალა ხელი ლ. ლოლაძეს, ინჟინრის დიპლომი მიეღო ზიპს-ში (საგზაო მიმოსვლის ამიერკავკასიის ინსტიტუტი), რომელშიც 1938 წელს ჩაირიცხა.

დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ლ. ლოლაძე მთელი 16 წლის მანძილზე გორის „დილას" უფროსი მწვრთნელი გახლდათ, მერე ათი სეზონი ამავე გუნდის უფროსი იყო. მოგვიანებით გორის ფეხბურთის სკოლის მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობდა. სხვათა შორის, აქვე სწავლობდა და თამაშობდა მისი ვაჟი სამსონიც, ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელმაც მშენებელი ინჟინრის ხელობა აირჩია და დღეს წარმატებით ილვწის ამ სფეროში.

რაც შეეხება მამამისს, — ლური ლოლაძეს, რომელსაც ორ წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა „მრგვალი თარიღის" შესრულებამდე, იგი დღესაც საყვარელი ფეხბურთის მოტრფიალეა — ფეხბურთის, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი ათეული წელი შეალია.

ოთარ ნოზაძე

ლიხს იქით და ლიხს აქეთ

უფროსო, მოგილოცავს!

ლევან არევაძეს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროს უფროსს, ამ დღეებში ყველა ულოცავს წარმატებას. „შევარდენის" რაიონულ პირველობაზე ლევანმა აბსოლუტურ წონაში უძლიერესი მკლავჭიდელის სახელი მოიპოვა 65 მონაწილეს შორის. გაგაცნობთ სხვა წონებში გამარჯვებულებს: ლ. თოდუა (59 კგ), გ. ლაბაძე (68), ბ. მახათაძე (80), გ. კუპატაძე (90). ინვალიდთა პირველობაში საუკეთესო რ. ბახტაძე იყო. გამარჯვებულებმა მიიღეს ფულადი ჯილდო.

მსოფლიოში ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე ზესტაფონიდანაა და, რა გასაკვირია, რომ ამ რაიონში ასე უყვართ სპორტის ეს სახეობა.

ზაზა გელაშვილი

ზესტაფონი.

კოოპერატივის სპონსორობით

დუშეთის რაიონის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღეს მიეძღვნა.

ტურნირში 14 მოჭადრაკე ჩაება — 13 ვაჟი და ერთი ქალი.

პირველ ადგილზე გავიდა დუშეთის ახალგაზრდულ კავშირთან არსებული საჭადრაკო კლუბის მწვრთნელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საჭადრაკო კომპოზიტორი რეზო მარცვალაშვილი, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. მეორე იყო ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის მთავარი ვეტექიმი ზაალ ბრაჭული, იგი ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. 10,5 ქულით მესამე საპრიზო ადგილზეა მხატვარი ელგუჯა პელოშვილი.

ტურნირის სპონსორობა ითავა კოოპერატივმა „შემოქმედმა" (თავმჯდომარე ავთანდილ ოდიშელიძე), რომელმაც ფულადი ჯილდოები დააწესა საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეებისათვის.

ზაქრო ხიანაიძე,

რაიონულ გაზეთ „არაგვის" თანამშრომელი.

პირველი, პირველმა, პირველად...

სპორტი, თუნდაც იგი რაიონული მასშტაბისა იყოს, ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ხოლმე იმათ, ვისგანაც ესა თუ ის სპორტული ასპარეზობა ათვლას იწყებს.

ხაშურის რაიონში პირველი შევარდენიადის პირველი ჩემპიონის სახელი წილად ხვდათ მექანიკური ქარხნის (დირექტორი ო. ქარსანაშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტი ბ. ლომიძე) სპორტსმენებს — ყველაზე ადრე მაგიდის ჩოგბურთში დამთავრდა შეჯიბრება. ამ სახეობაში მეორე იყო შუშის ქარხნის გუნდი.

ძიუდოში რაიონული შევარდენიადის ჩემპიონები გახდნენ ი. გრიგალაშვილი, ბ. ბუჩუკიძე, რ. მამულაშვილი, დ. კაპართიძე, გ. გამრეკელი, ზ. ბარათაშვილი, რ. ახალკაცი, ა. ტალახაძე, ლ. ლომსაძე, გ. ხარაიშვილი.

მიხვდით ალბათ, შეჯიბრებას სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რაისაბჭო ატარებს.

შევარდენიადა გრძელდება.

„ლელოს" კორ.

ხაშური.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:0 (1:0).

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 17 ივნისი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, მაჭავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (შ. არველაძე), ინალიშვილი, ნემსაძე, ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი (ჯამარაული).

„დილა“: ჰანტურია, კონდრატიევი, პაპიძე, წიკლაური, დალაქიშვილი, თარხნიშვილი (ბალაბანოვი), მარეხაშვილი, მიქელაძე, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: გ. კალანდია (ზუგდიდი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), დ. მგელაძე (თბილისი).

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო. უკვე მეოთხე წუთზე ჯიშკარიანმა ძლიერად დაარტყა საჯარიმო, გორელთა მეკარემ უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელთანაც ყველაზე ახლოს ყაველაშვილი აღმოჩნდა და გახსნა კიდეც ანგარიში — 1:0. ამის შემდეგ შეხვედრა ორმხრივი იერიშებით წარიმართა. ქეცბაიას, ყაველაშვილის, გოგიჩაიშვილის შეტევებს გორელები კონტრიერიშებით პასუხობდნენ, მაგრამ კარგად, საიმედოდ თამაშობდა თბილისელთა მეკარე.

მეორე ტაიმიც თბილისელთა უპირატესობით, თუმცა, პირველ ტაიმთან შედარებით, ნელ ტემპში წარიმართა.

გორელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ იბერიელთა კარი ძელმა იხსნა. შეხვედრა, ალბათ, ამ ანგარიშით დამთავრდებოდა, რომ არა უკანასკნელ წამებზე გორელი მეკარის ჰანტურიას მიერ დაშვებული შეცდომა, რომლითაც კარგად ისარგებლა რევიშვილმა.

თამუნა ჯიშკარიანი

„გორდა“ (რუსთავი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:0 (1:0).

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 17 ივნისი.

„გორდა“: ქორიძე (მეშკოვი), ლობჟანიძე, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, თორღაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, მიქაშავიძე (ბურნაძე), მეტრეველი (ალადაშვილი).

„ოდიში“: ჰანტურია, კვიტატიანი, (ჯიქია), ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, მალანია (შონია), გოგოხია, ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ნ. კილაძე, ვ. ეჯიბია (სამივე — თბილისი).

დასაწყისიდანვე იგრძნობოდა, რომ „გორდა“ ძალებს არ დაზოგავდა გამარჯვების მისაღწევად. ამის საწინდარი იყო ის საგოლე მომენტები, რომლებიც თამაშის „დებიუტშივე“ შეიქმნა „ოდიშის“ კართან“, მაგრამ მეკარე ჰანტურია უშეცდომოდ მოქმედებდა. 30-ე წუთზე მანაც ველარ შეძლო შეტევის მოგერიება — ტ. კაპანაძემ შორიდან ძლიერი დარტყმით მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა ბურთი.

ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ, საერთო სურათი არ შეცვლილა, უტევდა „გორდა“, თავს იცავდა „ოდიში“, 56-ე წუთზე ა. კაპანაძემ მეორედ აიღო ზუგდიდელთა კარი. მოსალოდნელმა მარცხმა სტუმრები გაააქტიურა, ნაჭყებიას და შონიას გოლის გატანის მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობანი ჰქონდათ, მაგრამ მეშკოვმა უნაკლოდ ითამაშა და ორჯერვე იხსნა კარი აშკარა საფრთხისაგან.

რაჟდენ გაბრიჩიძე,
„ლელოს“ კორ.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:0 (1:0).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 17 ივნისი.

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე (ბარათაშვილი), მეგრელაძე (კვინტრაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, ამაშუკელი, ხამაშურიძე, ტუღუში, ჩხაიძე, კაშია, ავალიანი (წივწივაძე), ჩიგოგიძე (სალუქვაძე), ბარამიძე, კალანდაძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), დ. მიქაუტაძე, თ. მაჩიტიძე (ორივე — ქუთაისი).

მასპინძლებმა თავიდანვე მკაცრ პრესინგს მიმართეს და ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობაც მალე იგდეს ხელთ. გოლის გატანის კარგი შანსი ვერ გამოიყენეს უგრელიძემ და მეგრელაძემ. ორივე ეპიზოდში ბრწყინვალედ ითამაშა დუმბაძემ, მაგრამ, მისი თავგანწირვის მიუხედავად, „მერცხალი“ 31-ე წუთზე მაინც ვერ გადაურჩა გოლს. დანელიას ჩამოწოდებულ ბურთს უგრელიძემ კარგად შეურჩია ადგილი და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0. „მერცხალმა“ პირველ ნახევარში მხოლოდ ერთხელ შეძლო სახიფათო შეტევის განხორციელება — კაშიას მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მეორე ტაიმშიც მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო, რაც კიდევ ერთ გატანილ გოლში აისახა — 50-ე წუთზე ფრიდონაშვილმა თავური დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში. თუ „გურიამ“ ამ დღეს დიდი ანგარიშით ვერ გაიმარჯვა, ამაში, პირველ რიგში, „დამნაშავე“ სტუმართა კარის დარაჯი დუმბაძე გახლავთ, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა.

გოჩა ვასაძე,
„ლელოს“ კორ.

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1 (0:0).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 17 ივნისი.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიაშვილი, ნადარეიშვილი, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე (ყიფიანი), შალამბერიძე, ტარტარაშვილი (ზეიკიძე), ქობელაშვილი, მინაშვილი.

„სამგურალი“: მიქაძე, ჯანელიძე, გოგელიძე, ხურცილავა, ფეხტვენიძე (იონანიძე), ჭელიძე, ცნობილაძე, სიჭინავა, ჭყონია, ბაბუნიძე, იობიძე (ხარაბაძე).

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ჭელიძე, ა. მანუკიანი (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს ჩადუნელი.

ბოლო ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ მასპინძლებს მატჩის დაწყებისთანავე უნდა ეზრუნათ გამარჯვების მისაღწევად. მართლაც, უკვე მე-2 წუთზე „შევარდენის“ ფეხბურთელებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ კარგად ითამაშა „სამგურალის“ მეკარემ, რომელმაც ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია. მე-17 წუთზე ქობელაშვილის მიერ თავით გ[illegible] მცირე მანძილით ასცდა „სამგურალის“ კარს. [illegible] მიეცათ დაწინაურების შესაძლებლობა — 41-ე წუთზე სიჭინავას მიერ ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმა თბილისელთა კარის დარაჯმა კუთხურზე მოიგერია.

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ისინი სახიფათოდ უტევდნენ ფლანგებიდან, მაგრამ კარგად თამაშობდნენ „სამგურალის“ მცველები და მეკარე მიქაძე. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ მინაშვილს, ქობელაშვილს, შალამბერიძეს, ჩადუნელს, ყიფიანს... მაგრამ სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას, 83-ე წუთზე, ჭყონიამ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში და ძლიერად დაარტყა. მეკარე გვენცაძეს არ უნდა გასჭირვებოდა ამ ბურთის აღება, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთი მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარის ბადეში აღმოჩნდა. ამის შემდეგ „შევარდენის“ შეტევები უფრო გამწვავდა. ახალშემოსულმა ლევან ყიფიანმა 86-ე წუთზე ოსტატურად აუარა გვერდი ორ მცველს და ბურთი ქობელაშვილს გადისცა, ამ უკანასკნელმა კი ზუსტად დაარტყა — 1:1.

რამინ ჟურაშვილი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	17	13	4	0	38-4	43
„გურია“ (ლანჩხუთი)	17	12	4	1	29-12	40
„ცხუმი“ (სოხუმი)	17	9	3	5	33-21	30
„ბათუმი“ (ბათუმი)	17	9	2	6	24-17	29
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	17	9	2	6	31-28	29
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	17	8	3	6	24-18	27
„ოდიში“ (ზუგდიდი)	17	8	2	7	30-21	26
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	17	8	2	7	28-26	26
„გორდა“ (რუსთავი)	17	7	4	6	31-17	25
„ალაზანი“ (გურჯაანი)	17	7	1	9	23-30	22
„დილა“ (გორი)	17	6	3	8	28-28	21
„სულორი“ (ვანი)	17	6	3	8	27-34	21
„სამგურალი“ (წყალტუბო)	17	6	3	8	18-28	21
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	17	6	1	10	19-28	19
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	17	5	4	8	26-23	19
„მზიური“ (გალი)	17	5	4	8	19-26	19
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	17	4	5	8	22-29	17
„კოლხეთი“ (ხობი)	17	4	4	9	22-29	16
„ხანავარდო“ (სამტრედია)	17	4	4	9	16-39	16
„ივერია“ (ხაშური)	17	4	2	11	11-36	14

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები ხელბურთში

საქართველო—სირია

…სირიის ხელბურთის ფედერაცია 1958 წელს შეიქმნა და პირველი ჩემპიონატიც იმავე წელს ჩატარდა. 1970 წელს სირიის ნაკრები არაბეთის ქვეყნების ჩემპიონი იყო, 1990 წელს სირიის ახალგაზრდულმა გუნდმა აზიის პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. 1985 წელს სირიის ჩემპიონმა „ჯამაგირის“ კლუბმა მესამე შედეგი აჩვენა არაბეთის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. აი, ასეთი ტრადიციების მქონე გუნდთან მოუხდათ ჩვენს ხელბურთელებს საერთაშორისო მატჩების ჩატარება.

პირველი მატჩი ფოთში გაიმართა. ქართველი ხელბურთელები თავიდანვე დაწინაურდნენ შენგელიას გატანილი გოლით. შედეგიანად თამაშობდნენ ე. სივოპლიასოვი და მეიფარიანი. სირიის ნაკრები აქტიურობდა დაცვაში, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო. იმავე შენგელიამ ლამაზი გოლით წერტილი დაუსვა ქართველი ხელბურთელების პირველ გამარჯვებას — 31:27 (17:14).

ორი დარჩენილი შეხვედრა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების სპორტულ დარბაზში გაიმართა. სტუმრებმა მატჩი რევანშის წყურვილით დაიწყეს და მალე ანგარიშშიც დაწინაურდნენ. კვლავ საუკეთესოდ თამაშობდა შენგელია, რომლის მონდომებამ თავისი გაიტანა — მატჩი მასპინძლებმა ფრედ დაამთავრეს — 25:25 (12:14).

მომდევნო შეხვედრაში შენგელიამ ორჯონიკიძესთან ერთად ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა ე. სივოპლიასოვმა, რომელმაც 14 ბურთი გაიტანა. სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მოედნის ყოველ მონაკვეთზე განსაკუთრებული თავგანწირვით იბრძოდნენ და ჩვენი მეკარის ზარაძის ოსტატური თამაშის მიუხედავად, მაინც შეძლეს გამარჯვება — 32:29 (15:17).

აი, რა გვითხრა ტურნეს დამთავრების შემდეგ სირიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა **ასად აზემ**:

„სასიამოვნოა, რომ თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენ პირველნი ვართ, ვინც საქართველოს ხელბურთელებს შეხვდა. გვჯერა, რომ თქვენ მალე გახვალთ დიდ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე“.

სირიის ნაკრების მწვრთნელი **ხაკამ ალვანი**:

„საქართველოს ხელბურთელებთან შეხვედრები ხელს შეუწყობს ჩვენი გუნდის ტექნიკურ და ტაქტიკურ ზრდას, რაც ასე სასურველია სირიის ნაკრების წარმატებით გამოსვლისათვის აზიურ თამაშებში“.

აზრის გამოთქმა ვთხოვეთ აგრეთვე საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს **გიორგი ბერიაშვილს**:

—მომავალი წლის მაისში გვინდა ჩვენთან ჩავატაროთ საერთაშორისო ტურნირი ნაკრებების დონეზე, რასაც შემდგომში, ალბათ, ტრადიციული და ოფიციალური სტატუსი მიენიჭება. განზრახული გვაქვს, აგრეთვე, საქართველოს რომელიმე ქალაქში დავაწესოთ საერთაშორისო ტურნირი საკლუბო გუნდებისთვისაც. ივლისში ჩვენი ნაკრები საპასუხო ვიზიტით ეწვევა სირიას. აგვისტოში მიწვეულნი ვართ საერთაშორისო ტურნირზე გერმანიაში, მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქ ხელბურთელებთან, მათთან რამდენიმე შეხვედრის ჩატარების თაობაზე.

თამაზ საჯაია,
სპორტის ოსტატი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **სამხრეთ** კორეის ფეხბურთელებმა სეულში მოიპოვეს ე. წ. „პრეზიდენტის თასი“ და ფულადი ჯილდო — 100 ათასი დოლარი. კორეელებმა ფინალში დაამარცხეს ეგვიპტის ნაკრები — 2:0.

● **ჩიკაგოში** ფრედ — 1:1 დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შეხვედრა იტალიის „მილანთან“. პირველ წარმატებას მასპინძლებმა 51-ე წუთზე მიაღწიეს, რაც პერესის დამსახურებაა, 10 წუთის შემდეგ კი ვან ბასტენმა გაათანაბრა ანგარიში.

● **ესპანეთის** თასის გათამაშების მეოთხედფინალში მადრიდის „ატლეტიკომ“ სტუმრად დაამარცხა „ვალიადოლიდი“ — 2:0, „ვალენსიამ“ მოუგო „მალიორკას“ — 1:0, „ლოგრონიესმა“ — „სპორტინგ ხიხონს“ — 2:0, ხოლო „სევილია“ დამარცხდა „ბარსელონასთან“ — 0:4.

● **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „კაიზერსლაუტერნმა“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა „კიოლნი“ — 6:2. მეორე ადგილზეა მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც შინ ფრედ დაამთავრა თამაში იურდინგენის „ბაიერთან“. ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა ბრემენის „ვერდერი“, რომელმაც უმასპინძლა და მოუგო „ბოხუმს“ — 2:1.

ალსანიშნავია, რომ „კაიზერსლაუტერნმა“ ჩემპიონის წოდება 1953 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა.

● **ავსტრიის** ჩემპიონობა მოიპოვა ვენის „აუსტრიამ“, რომელმაც ბოლო მატჩი „ადმირა-ვაკერთან“ ფრედ დაამთავრა — 2:2. მეორე ადგილზეა „ტიროლი“ (ინსბრუკი), მესამეზე — „შტურმი“ (გრაცი).

სხვა ფეხბურთელებთან ერთად, ავსტრიის ჩემპიონი გახდა რიგელი ე. მილევსკი, რომელიც ამჟამად ავსტრიის მოქალაქეა, აგრეთვე, ვილნიუსის „ჟალგირისის“ თავდამსხმელი: ა. ნარბეკოვასი და ვ. ივანაუსკასი.

როგორ ეხმარებიან „გოგონები“ კლუბებს

იუგოსლავიური პრესის ცნობით, პროსტიტუცია ამ ქვეყნის სპორტში, კერძოდ კი ფეხბურთშიც შეიჭრა. ბელგრადის ყველაზე ფეშენებელური სასტუმროს სერვისში 20 „გოგონა“ შედის. იმ თავიანთი „კოლეგებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც გასამრჯელოს მიღების მიზნით, მთელ ქალაქში დაზეტიალობენ, „გოგონები“ მკაცრად განსაზღვრულ დროში, კონტრაქტით მუშაობენ. დამკვეთების როლში გამოდიან ან იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია, ან უმაღლესი ლიგის ყველაზე უფრო მდიდარი კლუბები. მაშინ, როცა თვით ფეხბურთელები თავს არ იზოგავენ მატჩებისა თუ ვარჯიშების დროს, მათი ბოსები ცდილობენ მსაჯებისა და მეტოქე გუნდების ხელმძღვანელების მოსყიდვას, შამპანურს უკვეთავენ და მათ კარგად უმასპინძლდებიან. როცა ამით მიზანს ვერ აღწევენ — წერენ ჟურნალისტები — მაშინ ბოსები ქულების მოპოვების მიზნით „თამაშში“ ჩართავენ თავიანთ მთავარ იარაღს — ქალებს. ეს იარაღი კი ყველაზე მოქმედებს. ამ სასტუმროში მომუშავე „გოგონები“, რომლებსაც ძლიერი კონკურენციის პირობებში უხდებათ „მოღვაწეობა“, ფიგურის შენარჩუნების მიზნით, საუკეთესო სპორტულ დარბაზში დღეში სამ-ოთხ საათს ვარჯიშობენ. მათ უნდა შეეძლოთ სოლიდურ კლიენტებთან სერიოზული საუბრის გაბმაც, ამიტომ, დადიან თეატრებში, კინოსა და გამოფენებზე. რა თქმა უნდა, ბელგრადის ცენტრალურ სტადიონზე მუდმივი აბონემენტიც აქვთ. თავიანთი „გოგონასათვის“ ფეხბურთის კლუბები არაფერს იშურებენ. მათ შორის საუკეთესოები ერთ ღამეში 400 ათას დინარს იღებენ, აქედან მესამედს კი „გადასახადის“ სახით საფეხბურთო კლუბს აბარებენ., ამას წინათ, ერთ-ერთმა „გოგონამ“ აღიარა, რომ მისი კლიენტი იყო ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ევროპის უკანასკნელი პირველობის გმირი. მისი სიტყვით, ჰოლანდიელმა მწვრთნელებმა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვეს მათი გუნდისათვის „გოგონები“ მოეყვანათ, რადგან მათი ვიზიტი ფეხბურთელებზე დოპინგივით მოქმედებს. ბოლო ხანებში, ბელგრადში შეიმჩნევა ასეთი უმაღლესი კლასის „გოგონების“ დეფიციტი. ამიტომ ისინი ერთმანეთს არასოდეს ეჩხუბებიან — თითოეული უკიდურესად არის დატვირთული. ცნობილია, რომ ერთ ღამეში 400 ათას დინარს ტყუილად არავის აძლევენ, ამიტომ, „გოგონები“ ძალიან ცდილობენ. მათ საქმიანობაზე ხომ ხშირად საფეხბურთო კლუბის კეთილდღეობაა დამოკიდებული. მაგალითად, ლინას, ცნობილი ბელგრადელი „გოგონას“ სექსუალური მომსახურებით 40-მა ფეხბურთის მსაჯმა ისარგებლა. ზოგჯერ კლუბები ასეთ „გოგონებს“ ერთმანეთს ათხოვებენ ხოლმე. ერთმა მათგანმა კი დაიქვეხნა, რომ კლუბი დაბალ ლიგაში გადასვლისაგან იხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩიკაგოს“ აღმასვლის სტენოგრამა

(დასასრული)

ნახევარფინალები

„ჩიკაგო ბულსი“ — „დეტროიტ პისტონსი“ 4:0 (94:93, 105:97, 113:107, 115:94).

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“, 4:2 (111:106, 98:109, 106:92, 116:95, 84:95. 91:90).

ფინალი

„ჩიკაგო ბულსი“ — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ 4:1 (91:93, 107:86, 104:96, 97:82, 108:101).

„ჩიკაგო ბულსი“ თავის ისტორიაში ამ ყველაზე დიდ და შთამბეჭდავ გამარჯვებამდე ნელ-ნელა მივიდა. 1987 წლის ჩემპიონატს იგი „პლეი-ოფის“ პირველსავე რაუნდში (მერვედფინალებში) გამოეთიშა. ერთი წლის შემდეგ მან უკვე მეოთხედფინალებამდე მიაღწია. 1989 და 1990 წლებში ჩიკაგოელმა „ხარებმა“ ნახევარფინალში ითამაშეს, წლეულს კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონები გახდნენ.

ჩიკაგოელთა ყოველწლიურ პროგრესს სხვა მაგალითიც ცხადყოფს: 1988 წლიდან მოყოლებული ამ გუნდს ფინალისაკენ გზას ულობავდა ბოლო წლების უდავოდ საუკეთესო გუნდი „დეტროიტი“. მაშინ ამას ჩიკაგოელ კალათბურთელთა ფატალური უიღბლობით ხსნიდნენ. და მართლაც, 1988 წელს „ჩიკაგო“ დამარცხდა ანგარიშით 1:4, 1989 წელს — 2:4, 1990 წელს კი — 3:4.

მაგრამ ეს პროგრესი, ცხადია, არ იყო საკმარისი ჩიკაგოელთა ლიდერის მაიკლ ჯორდანის სავსებით არგუმენტირებული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. საერთოდ, პროფესიულ კალათბურთს ერთი დაუწერელი კანონი აქვს: „რაგინდ დიდი კალათბურთელი იყო, თუ ერთხელ მაინც არ ყოფილხარ ნბა-ს ჩემპიონი, შენს კარიერას მთავარი ბრწყინვალება აკლია“. ჯორდანს პროფესიულ კალათბურთში თავისი სახელის უკვდავსაყოფად ნბა-ს ჩემპიონობა სჭირდება. ცხადია, წარმატებაზე ოცნებობდა ჩიკაგოელთა მწვრთნელი ფილ ჯექსონიც და გუნდის ყველა წევრი.

„ჩიკაგო ბულსის“ საუკეთესო მოთამაშე მაიკლ ჯორდანი ახალგაზრდობისას.

წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ჯორდანმა გარკვევით განაცხადა, რომ ერთი გამოცდილი მოთამაშე მას დიდ დახმარებას გაუწევდა. „ჩიკაგომ“ მართლაც შეიძინა კალათბურთელი, მაგრამ იგი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი გამოდგა — დენის ჰოფსონი (ნიუ-ჯერსიდან). ჯორდანი ნაწყენი იყო მწვრთნელის საქციელით. მან თქვა კიდეც, რომ ჰოფსონი ისეთივე გამოუცდელი კალათბურთელია, როგორც სკოტ პიპენი და ჰორას გრანტიო. მაგრამ სეზონის მთელი სიმძიმე ჯორდანთან ერთად სწორედ ამ „გამოუცდელმა ბიჭებმა“ გადაიტანეს საკუთარ მხრებზე და ამ თემაზე საუბარიც, ბუნებრივია, შეწყდა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როცა „ჩიკაგოს“ გამარჯვება უკვე ფაქტი იყო, პროფესიული კალათბურთის სპეციალისტებმა ახალი თვისებები აღმოაჩინეს ფილ ჯექსონის „ბიჭებში“. ჟურნალისტებმაც, ცხადია, სათანადოდ წარუდგინეს ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონი კალათბურთის გულშემატკივრებს.

მაიკლ ჯორდანი — ყველა გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელი, „ჩიკაგოს“ გული, პროფესიული კალათბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ნბა-ს სნაიპერი.

„ჩიკაგო სტადიუმი“ — დარბაზი, სადაც „ხარები“ შინ თამაშობენ.

სკოტ პიპენი და ჰორას გრანტი — ამ ორი კალათბურთელის დაშორება არ შეიძლება, ვინაიდან ისინი საოცრად ავსებენ ერთმანეთს. ფიზიკურად ძლიერი და გამძლე მებრძოლები არიან.

კრეიგ ჰოჯესი — საკმაოდ სტაბილური ბომბარდირი, სამქულიანი სროლების უბადლო ოსტატი.

ჯონ პაქსონი — იშვიათად იჯდა სათადარიგოთა სკამზე, გონებამახვილური გადაცემების ოსტატი, ძირითადად გამთამაშებელი.

ბი არმსტრონგი — შარშანდელი დებიუტანტი, ნბა-ს ახალწვეულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელი.

ბილ კარტრაიტი — ცენტრალური თავდამსხმელი, ძველი გვარდიის წარმომადგენელი, თამაშს ნელ ტემპში ამჯობინებს.

სტეისი კინგი და უილ პერდიუ — ცენტრალური ზონის მოთამაშეები, კარგად იბრძვიან ფარქვეშ, გამოირჩევიან ათლეტიზმით.

ედ ნილი — ამ კალათბურთელისთვის ყველაზე კარგი რეკომენდაცია გახლავთ ჯორდანის სიტყვები: „არ მინახავს, ვინმეს ეთამაშოს ჩარლზ ბარკლეის წინააღმდეგ ისე ეფექტურად, როგორც ედ ნილს“.

ლეროი ბარელი— 9,90

აშშ-ს მძლეოსანთა ჩემპიონატის გვირგვინი, რა თქმა უნდა, ლეროი ბარელის მსოფლიო რეკორდი იყო 100 მეტრზე რბენაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ რვა სხვა სახეობაში სეზონის საუკეთესო შედეგები იქნა ნაჩვენები.

24 წლის ბარელმა ყველაზე უფრო პოპულარული და პრესტიჟული დისტანცია 9,90 წამში გაირბინა. უკეთესი შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში ორჯერ იქნა ნაჩვენები კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის მიერ. პირველად ეს მოხდა რომში, მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონატზე (9,83), მეორედ კი სეულში 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე (9,79). მაგრამ, გახსოვთ ალბათ, ამ ფანტასტიკურ რეკორდებს მოჰყვა საკმაოდ გახმაურებული სკანდალი იმის გამო, რომ ორივე შემთხვევაში ჯონსონს მიღებული ჰქონია დოპინგი და შედეგები გაუქმდა, თვითონ სპორტსმენი კი მკაცრად დაისაჯა. სწორედ ამიტომ, ბარელის მსოფლიო რეკორდს სპორტულმა სამყარომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.



ბარელი (მარცხნივ) და ლუისი

ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, შედეგები სიგრძეზე ხტომაში. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა კარლ ლუისმა — 864 სმ. მას საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა სერიის სხვა ნახტომებშიც: 821, 859, 860, 846, 854 და ბოლოს 864. არანაკლებ სტაბილურად გამოვიდნენ მეორე და მესამე პრიზიორებიც — მაიკ პაუელი (საუკეთესო შედეგი 863 სმ) და ლარი მირიკსი (საუკეთესო მაჩვენებელი 850 სმ). ცნობილი მიმომხილველის ბუ როჯერსის აზრით, „უმაღლესი შედეგების ასეთი სიმრავლე და სტაბილურობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წლეულს, ან გაისად, შესაძლებელი გახდება იერიშის მიტანა ბიმონის მსოფლიო რეკორდზე“. ადრე ამაზე მხოლოდ კარლ ლუისი ოცნებობდა, ახლა კი მას ღირსეული ოპონენტები გაუჩნდნენ.

აშშ-ის ჩემპიონატის სხვა შედეგებიდან შეიძლება აღინიშნოს: **ვაჟები.** 400 მ. ანტონიო პეტიგრიუ — 44,36; 800 მ. მარკ ევერეტი — 1.44,28; 400 მ. თარჯრბენი. დენი ჰარისი — 47,62; 3000 მ. დაბრკოლებებით. მარკ კროგენი — 8.21,64.

ქალები. 100 მ. კარლეც გაიდრი — 10,94; 400 მ. ლილი ლეზერვუდი — 49,66; 400 მ. თარჯრბენი. კიმ ბატენი — 54.18.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 23-ე ტირაჟებისა და სპეცტირაჟის „გულმოწყალება“ შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“: დაშვებულია 1.426.744 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია და ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი თანხა 35.669 მანეთი დაემატება 24-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ თანხას. 5 ნომრის გამოცნობისთვის (22) მოგება 4.073 მანეთია, ოთხისთვის (911) — 254.

საქართველოში: დაშვებულია 29.872 ვარიანტი.; 6—0, 5—0, 4—14.

„სპორტლოტო 5 36“: დაშვებულია 12.535.045 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (91) მოგება 6.248 მანეთია, ოთხისთვის (6.900) — 126, სამისთვის (175.323) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 165.761 ვარიანტი. 5—1, (თბილისი), 4—85, 3—2.860.

„გულმოწყალება“: დაშვებულია 3.657.990 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (16) მოგება 15.181 მანეთია, ოთხისთვის (171) — 230, სამისთვის (47.695) — 12.

საქართველოში: 5—0, 4—7, 3—745.

23-ე, „გულმოწყალების“ და 14-23 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 23-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.841.144 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისათვის (10) მოგება 4.602 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისათვის (214) — 430, 11 შედეგის გამოცნობისათვის (2.191) — 147.

საქართველოში: დაშვებულია 74.250 ვარიანტი. 13—0, 12—4, 11—63.

23-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

21 ივნისი ● ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი)

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 20 და 21 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).



ამირან ერაძის ნახატი.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 24-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“: 4 (კრივი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 29 (სასტენდო სროლა).

„სპორტლოტო 5 36“: 4 (კრივი), 6 (ძიუდო), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20